პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

სამშაბათი, 20 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმია

№ 502 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ტელ. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## საგლეხო მომგებიანი სესხი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში იბეჭდება რ. კ. პ. ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის მოწოდება და თეზისები საგლეხო მომგებიან სესხის შესახებ.

საერთოდ სესხს, კერძოდ კი საგლეხო მომგებიან სესხს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე გლეხობისათვისაც.

უკანასკნელად გატარებული ფინანსიური რეფორმა ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. მისი წარმატებითი დამთავრება დამოკიდებულია იმაზე, შესძლებს თუ არა ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა სახელმწიფოს საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებას (როცა შემოსავალს აჭარბებს გასავალი), და ამ დეფიციტის იმ დონემდე დაყვანა, რომ მისი დაფარვა შეიძლებოდეს განსაკუთრებით სახელმწიფო საკრედიტო ოპერაციების საშუალებით ე. ი. გამოშვება სახელმწიფო სესხების.

ფულის რეფორმის გამარჯვების თავდებია ისეთი გარემოების შექმნა, როცა სახელმწიფოს ხარჯების ნაწილის დასაფარავად არ იქნება საჭირო ახალი ფულების ბეჭვდა და გამოშვება.

ამ შემთხვევაში უდიდეს სამსახურს უწევს სახელმწიფოს სესხის გამოშვება.

აქამდის საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა 1 და 2-რე მომგებიანი ოქროს სესხი, 8 პროც. ოქროს სესხი და სხ. აღნიშნული სესხები ნაწილდებოდა ქალაქის პროლეტარიატსა, მცხოვრებთა და სავაჭრო წარმოებებს შორის. ისინი ვერ წვდებოდნენ სოფელს, გლეხობას.

უკანასკნელი საგლეხო სესხი კი გამოშვებულია სპეციალურად გლეხობის საჭიროებისათვის. წინად გლეხობა არ იძენდა სახელმწიფო სესხს, ვინაიდან ის მიუწვდომელი იყო მისთვის. გლეხობა არ იცნობს სესხს. ამისათვის დიდი მუშაობაა საჭირო ახალ საგლეხო მომგებიან სესხის რეალიზაციისათვის.

სესხი ეხმარება არა მარტო სახელმწიფოს. ის დიდ სამსახურს უწევს გლეხობას. გლეხობას შეუძლია გადასახადი შეიტანოს სესხის ობლიგაციებით. რომელიც მას მეტად გაუადვილებს გადასახადების გაღებას. მაგრამ საგლეხო სესხს აქვს აგრეთვე მეორე დიდი უპირატესობა: ობლიგაციის ფასი პირველ ხანებში არის 85 კაპ. სახელმწიფო კი შეისყიდის 1 მანეთად. ამგვარად გლეხობა თვითეულ ობლიგაციაზე მოიგებს 15 კაპ. გლეხობა სესხის ობლიგაციების შეძენით დაეხმარება როგორც სახელმწიფოს, ისე თავის თავსაც.

მეტად სასურველი იქნება ჩვენი წითელი ჯარის რიგებში საგლეხო მომგებიანი სესხის ობლიგაციების გავრცელება.

# რადიო-დეპეშები

— რუმინეთში გლეხთა მღელვარება თანდათანობით იზრდება.

— ზემო ბესარაბიაში ძლიერ გახშირდა პარტიზანული რაზმების მოქმედება მთავრობის წინააღმდეგ.

— ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრზე მოახდინეს თავდასხმა. მინისტრი უვნებლად გადარჩა.

— საბერძნეთის პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიამ გააუქმა ყოველგვარი წოდება და ტიტულები.

— ტიბეტში შეიჭრა ინგლისის ჯარი. ტიბეტელებში დიდი მღელვარებაა.

— გერმანიის ახალი კაბინეთის შედგენა მიენდობა ისევ ძველ კანცლერს მარქსს.

— ერიომ განაცხადა რომ მანამ არ მიიღებს მთავრობის შედგენის წინადადებას სანამ კარგად არ გამოარკვევს საფრანგეთის მოკავშირეებთან დამოკიდებულებას.

## ინგლის-ჩინეთის კონფლიქტი.

### ჩინეთი აღელვებულია.

ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი აღელვებულია ინგლისის ძალმომრეობით. 16 მარტს ინგლისის აგრესიულ პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების ბაღში გაიმართა დიდი მიტინგი 200 დეპუტატის ჟურნალისტების და საზოგადო მოღვაწეთა თანდასწრებით. განსაკუთრებული აღელვება ჰამოიწვია ცნობამ, როცა ინგლისული ჯარის კაცები სცემდენ ჩინელებს, ართმევდენ ცხენებს და იჭრებოდენ სახლებში, კრებამ დაადგინა: მოსთხოვოს მთავრობას ყველა ძველ ხელშეკრულობებზე უარი სთქვას, ახალი ხელშეკრულობები უნდა იყოს დამყარებული სამართლიანობის პრინციპზე.

მიმართონ ბრიტანეთის მუშათა მთავრობას მოთხოვნით, რათა გაუქმებულ იქნას ყველა აგრესიული ხელ შეკრულებები, რომელიც იქნა დადებული ყოფილი ბრიტანეთის იმპერიალისტურ მთავრობის მიერ, მოეთხოვოს ბრიტანეთის ელჩს ბოდიშის მოხდა, დასჯა დამნაშავეთა და ინგლისის ჯარის კაცების კლუბის დახურვა.

### ინგლისის ჯარის შეჭრა ტიბეტში.

ინგლისის ჯარი შეიჭრა ტიბეტში. ინგლისის სალდათების მოქმედება მცხოვრებლების მიმართ ასაღელვებელია. ტიბეტლები აღელვებულნი არიან.

### ჯოჯოხეთის მანქანა.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ველინგტონ კუს ბინაზე აფეთქდა ჯოჯოხეთის მანქანა. მძიმედ დაიჭრა 3 მოსამსახურე.

## ბურჟუაზიულ ქვეყნებში

### გერმანიის კაბინეთის მდგომარეობა.

პარლამენტის წრეებში ამტკიცებენ, რომ რეიხსტაგის მიწვევის შემდეგ მთავრობა გადადგება. ახალი კაბინეთის შედგენა ისევ მარკსს მიენდობა, რადგანაც ნაციონალისტებს აქამდე არ გამოურკვევიათ თავისი დამოკიდებულება იმ პოლიტიკისადმი, რომელიც შეეხება ვალდებულებებს.

### ნაციონალისტები პროტესტს აცხადებენ დემონსტრაციების აკრძალვის გამო.

გერმანიის კონსერვატიულ-ნაციონალისტურმა პარტიამ და უკიდურეს ნაციონალისტებმა პროტესტით მიმართეს პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრს, უკანასკნელისგან ყოველგვარ ნაციონალისტური დემონსტრაციების აკრძალვის გამო.

### საბჭოთა-გერმანეთის კონფლიქტის გარშემო.

რადგანაც ყველა პარტიებმა უარი განაცხადეს მომხდარ კონფლიქტის გამოსარკვევად შემდგარი ყოფილიყო რეიხსტაგისაგან კომისია, კომუნისტების წინადადება ასეთის შექმნის შესახებ უარყოფილი იქნა.

### მიტინგების აკრძალვა.

გალეში მომხდარ ინციდენტის გამო, საიმპერიო მთავრობამ გამოაქვეყნა დადგენილება, რომლის ძალით კატეგორიულად აკრძალულია ყოველგვარი მიტინგები და კრებები ქუჩებში.

### კომუნისტების დატუსაღება.

„ჟურნალის“ ცნობით ბერლინში დააპატიმრეს ასობით კომუნისტები, რომლებიც მიემართებოდენ ნაციონალისტების მანიფესტაციებისაკენ.

### ველიგტონ კუზე თავდასხმა.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ველიგტონ კუზე მოხდა თავდასხმა. მას მიუვიდა პაწია ყუთი, რომელშიდაც მოთავსებული იყო ბომბა. ყუთის გახსნის დროს ყუმბარა გასკდა. მინისტრი უვნებლად გადარჩა. მძიმეთ დაიჭრა სამი მოსამსახურე.

### წოდების გაუქმება საბერძნეთში.

ათინაში ახალი კონსტიტუციის გამომმუშავებელმა კომისიამ გადასწყვიტა სრულიად გააუქმოს საბერძნეთში ყოველგვარი ძველი პრივილეგიები და წოდება.

### სამხრეთ სლავიის ახალი კაბინეთი.

მეფე ალექსანდრემ ახალი კაბინეთის შედგენა მიანდო ოპოზიციის ლიდერს დავიდოვიჩს.

## არჩევნების შემდეგ საფრანგეთში.

### ინტერვიუ ერრიოსთან.

„მატენის“ თანამშრომელთან საუბრის დროს ერრიომ განაცხადა, რომ ის არ მიიღებს ხელისუფლებას ზერელეთ, არამედ წინასწარ სერიოზულად, შეხედავს შექმნილ მდგომარეობას, და აგრეთვე გამოარკვევს, ექნება თუ არა თავისუფალი მოქმედების უფლება, რომ განახორციელოს თავისი ამოცანები. ერრიოს აუცილებლად მიაჩნია გამოარკვიოს მოკავშირეთა მდგომარეობა. ერრიომ განაცხადა, რომ მხოლოდ საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ შეუძლია მის მთავრობას შეუდგეს შინაურ რეფორმებსო.

### საფრანგეთი და იტალია.

გავასის სააგენტო უარყოფს ზოგიერთ გაზეთებისაგან მოთავსებულ ცნობებს თითქოს ერრიოს პარტია მტრულად იყოს განწყობილი იტალიის მიმართ.

### საფრანგეთი და ინგლისი.

### სნოუდენის განცხადება.

თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში სნოუდენმა განაცხადა: მას იმედი აქვს, რომ როგორი მთავრობაც არ უნდა მოექცეს საფრანგეთს სათავეში, რამოდენიმე კვირის შემ-

## პრესა

### ძაღლების „მისია“.

ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკება ლონდონში საზეიმო ხასიათზე აყენებს ემიგრანტების გაზეთს „დნი“-ს. მაკდონალდის დიპლომატიურ ნიჭით, განსაკუთრებით ლონდონის ბანკირთა დეკლერაციით აღტაცებულნი ქადაგებს გოც-ლიბერ-დანის „ვალზე“ რუსეთის წინაშე.

„ყველა იმას, ვინც დარჩა, მტრულად განწყობილი ბოლშევიზმისადმი, და ხედავდა კიდევ რაღაც დასაწყის „ნაციონალურ“ ხელისუფლებას „საბჭოთა კავშირის მთავრობაში“, ვინც, ქვეყნის აღორძინების სურვილისათვის იბრძოდა, ევროპის მხრივ ბოლშევიკების ცნობისათვის, დღეს მისი ვალია ამ რწმენის სრული სიძლიერით მოითხოვს ბოლშევიკებისაგან კულტურულ და უფლებრივი პირობების განხორციელება, ურომლისოდ წარმოუდგენელია რუსეთში სერიოზულ მწარმოებელ კაპიტალის მოვლინება. მისი ვალია მიუთითოს რუსეთის ათვის, მის შინაურ მტრულ ძალისადმი, რომელიც ქმნის სამეურნეო, და მაშასადამე პოლიტიკურადაც რუსეთის აღორძინებას შეუძლებლად. ჩვენი მძიმე დრო ვერ ითმენს ვერავითარ „ორაზროვნებას“.

(„დნი“) № 411).

სრულიად ვეთანხმებით რა საბოლოო დასკვნას, ჩვენ ვესალმებით ამ სამაგალითო მსვლელობას. მოგვწონს არა მარტო ამ წერილის მჭერმეტყველება და პათოსი, რომელიც კერენსკისაც კი შემატებდა ღირსებას, არამედ ისიც, რომ ამ წერილით მართლა რომ ბოლო ეღება ყოველგვარ „ორაზროვნებას“ თეთრემიგრანტთა „პატრიოტიზმის“ შესახებ. წარმოიდგინეთ „ყველას“ ვალი ყოფილა უცხოეთის მთავრობისათვის და მათ ბურჟუაზიისათვის მთელი ძალ-ღონით დახმარება შენივე მთავრობის და სამშობლოს წინააღმდეგ.

ჭკუნვით და მანჭიაობით ცნეს რა ნაციონალურად საბჭოთა მთავრობა ესერების „პატრიოტები“ მიუხედავად ამისა მაინც თავგამოდებით იცავენ ლონდონის ბანკირების ყბედ მოთხოვნილებებს.

უცხოეთის კაპიტალის ხასების „რწმენის სრული სიმტკიცით“ ისინი „მოითხოვენ“ ჩვენგან მათი „ულტიმატუმის“ შესრულებას. თუ არა და, წარმოიდგინეთ, „ფიქრიც ზედმეტი ყოფილა იმაზე“, რომ იმათმა ინებონ საბჭოთა მუშაობაში ჩაბმვა „კულტურულ და უფლებრივ პირობების“ შეუსრულებლივ რაც ნიშნავს ქვეყანაში ბურჟუაზიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბატონობის აღდგენას, რაც კეთილ შემთხვევით გოც-ლიბერ-დანის „დემოკრატიული პროგრამასთან ერთიანდება. არც ისე შორს ივ. ბუნინი ხოტბას ასხამდა რუსეთის ემიგრაციის ღვთაებრივ „მისიას“ და თავს ადარებდა უპატრონო ძაღლს, გაშმაგებით, უსაზღვრო ბოროტებით აღსავსეს, წითელ არმიელს რომ უყეფს. თეთრ ემიგრაციის ეს უმაღლესად მხატვრული შედარება საერთოდ მოსწრებულად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ის გულწრფელად ითანამშრომლებს ინგლისთან ერთად ექსპერტთა გეგმების შესრულებაში. სნოუდენს სწამს, რომ დაინტერესებული მთავრობები და მათ რიცხვში გერმანეთის მთავრობაც გულწრფელად ითანამშრომლებენ აღნიშნულ გეგმის დაგვირგვინების საქმეში.

**რესპუბლიკანურ სოციალისტების პროგრამა.**

რესპუბლიკანურ სოციალისტების პარტიის აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ ფრაქციის წევრებმა უარი უნდა განაცხადონ როგორიც არ უნდა იყოს მთავრობაში შესვლაზე, რომელიც არ იდებს თავის თავზე შემდეგი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას: მილიერანის გადაყენება, საყოველთაო ამნისტია, ხმის მიცემის ოლქობრივი სისტემის აღდგენა, ვაჭრობის ტრიალზე დადებულ გადასახადის შეცვლა და მის კაპიტალზე დადება, მეგობრული დამოკიდებულების აღდგენა მოკავშირეებთან და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება.

ოცნება ინგლისურ ორეულზე.

სოციალისტები: რენოდელი, ბონკური, და ბრენი მომხრე არიან სოციალისტების მთავრობაში შესვლის. ბლიუმი აღნიშნავს, არ არის არავითარი საფუძველი მეორე ინტერნაციონალის მიერ, რომელიც ნებას რთავდეს სოციალისტების მონაწილეობას ბურჟუაზიულ მთავრობაში. ბლიუმი მეტად შიშობს სოციალისტებს სახელი არ წაუხდეთ რადიკალებთან ერთად მთავრობაში მონაწილეობაზე.

**მუსოლინის შეხვედრა ბენეშთან.**

მუსოლინიმ მიიღო ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბენეში. შეხვედრის მიზანი იყო ფინანსიურ-ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების ირგვლივ ბაასი. ბაასმა გამოარკვია იტალიისა და ჩეხო სლოვაკიის ინტერესთა ერთიანობა ცენტრალურ ევროპის პოლიტიკის მიმართ.

გაზეთების ცნობით განზრახულია პოლიტიკურ-ეკონომიური ხელშეკრულების დადება იტალიისა და ჩეხო-სლოვაკიის შორის.

## კ. პ. ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს.

### ცირკულიარულად.

საჭიროა დაჩქარებით შეუდგეთ ფართე სააგიტაციო კომპანიას საგლეხო მომგებიანი სესხის რეალიზაციის ჩასატარებლად.

კომპანიის ჩატარების დროს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებმა ადგილობრივ უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება სესხის სარგებლიანობას და უნდა დაინტერესონ გლეხები მომგებიან ბილეთის ყიდვაში, და უნდა მიუთითოთ, რომ ობლიგაციით შეიძლება გადასახადების გადახდა. უნდა ეცადოთ რომ სესხის საკითხი შეიჭრას გლეხებში. განავითარეთ ფართე კამპანია პრესაში, მოაწყვეთ სოფლებში კრებები მიტინგები და საუბრები.

როგორც მასალები, კამპანიის ჩასატარებლად, გამოიყენეთ რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის აგიტპროპის თეზისები და ბროშიურა საგლეხო სესხზე.

მიღწეულ შედეგებზე პერიოდიულად აცნობეთ აგიტ-პროპს.

მდივანი რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტისა **მიასნიკოვი.**

აგიტ-პროპის განყოფილების გამგის მოადგილე **მ. ესენი.**

### საგლეხო მომგებიანი სესხი 1924 წელი.

(თეზისები).

1. ხანგრძლივი და დაუღალავი მუშაობის შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკების ფინანსების გასამაგრებლად და მომავალში ჩვენი მეურნეობის გასავითარებლად და აღსადგენათ, საბჭოთა მთავრობის მიერ იყო მიღებული ზომები სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც ტარდება დღეს ცხოვრებაში ფულის რეფორმის სახით, რამაც უნდა გარდაქმნას მთელი ჩვენი მეურნეობა ახალ ნიადაგზე.

2. ერთ ერთ მთავარი პირობათ ამ რეფორმის გასამარჯვებლად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვის დეფიციტის შემცირება. (გასავალი მეტია შემოსავალზე) და დაყვანა ამ დეფიციტის იმ დონემდე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი თავისუფლად დაფარვა განსაკუთრებით სახელმწიფო საკრედიტო ოპერაციებით, ე. ი. გამოშვება სახელმწიფო სესხების, სხვანაირად რომ ვსთქვათ ფულის რეფორმის გამარჯვების თავდებია შექმნა ისეთი პირობების, როცა საჭირო არ იქნება სახელმწიფო ხარჯების ნაწილის დასაფარავად ახალი ფულების ბეჭვდა და გამოშვება.

3. იმის და მიხედვით, თუ რა მიზნებს ისახავენ გამოცემული სესხები, უკანასკნელნი არიან მოკლე და გრძელ ვადიანი.

მოკლე ვადიან სესხს უშვებენ იმისათვის, რომ დროებით შეუმსუბუქოს მდგომარეობა სახელმწიფოს სალაროს, რომელიც ახლო მომავალში სულ ერთია შევსებული უნდა იქნას მორიგი შემოსავლით ამა თუ იმ გადასახადის სახით ან და შემოსავლით არა გადასახადის ხასიათისა. ასეთ სესხებს ეკუთვნოდენ თავის დროზე ს. ს. ს. რ. მიერ გამომუშავებული პურის და შაქრის სესხები.

გრძელ ვადიან სესხის მიზანია საშუალების მიღება ან და დაფარვა მოსალოდნელ დეფიციტის ჯამისა ან და დიდ ხარჯების გაწევა რაიმე სახელმწიფო წარმოების დასაწყებად.

4. მოკლე ვადიან სესხის რეალიზაციის დასაჩქარებლად იძულებული ხდება მთავრობა შეღავათიანათ დაუთმოს მყიდველს; მოკლე ვადა სესხის დასაფარავად და პროცენტების გადახდა ადიდებს წლიურ პროცენტის რაოდენობას. ამნაირად მოკლე ვადიანი სესხი სახელმწიფოსათვის იმდენად ხელსაყრელი არ არის, როგორც გრძელ ვადიანი.

5. გრძელ ვადიან სესხს ეკუთვნიან 1 და 2 მომგებიანი ოქროს სესხები, 8 პროც. ოქროს სესხი და საგლეხო მომგებიანი სესხი.

პირველი სამი იცემა ქალაქის მცხოვრებთა და სავაჭრო წარმოებისთვის, უკანასკნელი კი გლეხებისათვის.

6. რევოლიუციამდე გლეხობას თავის დღეში არ შეუძენია მომგებიანი ბილეთები, რადგან ის გლეხობისათვის თავის დიდი ფასებით მიუწდომელი იყო. ამ ჟამად საბჭოთა რესპუბლიკებში რ. ს. ფ. ს. რ. უკრაინაში, ბელორუსიაში მთავრობამ შესძლო გზის გაკაფვა სესხისათვის სოფლად. იქ იყო გამოშვებული ორი საგლეხო სესხი პურის სახელით, ორივე მშვენივრად ჩატარდა სოფლად და პოპულიარობა მოიხვეჭა. ამნაირად, ამ ჟამად გამოსაშვებ საგლეხო მომგებიან სესხს სხვა რესპუბლიკებში ნიადაგი უკვე მომზადებული აქვს და გამარჯვება მისი უზრუნველყოფილია. მხოლოდ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, გლეხობა სრულებით არ არის გაცნობილი იმას, თუ რამდენათ საჭიროა მისთვის მომგებიანი ბილეთების შეძენა, ამისათვის ჩვენს პირობებში უფრო საჭიროა სერიოზული და დაუღალავი მუშაობის გაწევა გლეხებთა შორის სესხის პოპულიარობისათვის.

7. როგორც წინანდელი პურის სესხის, ისე ეხლანდელი საგლეხო მომგებიანი სესხის უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ გლეხობას გადასახადს უმსუბუქებს. ობლიგაციები ამ სესხის მიიღება შეღავათიან პირობებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანგარიშში. წინანდელი სესხების ქაღალდებს ღებულობდენ ნატურალურ გადასახადის ანგარიშში, რაც მეტად ხელსაყრელი იყო გლეხობისათვის იმ აზრით, რომ მას არ სჭირდებოდა პურის გადაზიდვა რამოდენიმე ვერსტის მანძილზე, რაც იმავე დროს ჩასაბარებელ ადგილზე მიტანის დროს უვარგისი გამომდგარიყო.

8. ახლად გამოცემულ საგლეხო სესხს სხვა უპირატესობაც აქვს.

ობლიგაციის ფასად პირველ ხანებში დანიშნულია 85 კ. მანეთის მაგივრად. ამნაირად გლეხი, რომელმა იყიდა ობლიგაცია გადასახადის მერე ობლიგაციების შესყიდვის დროს გებულობს ყოველ მანეთში 15 კ.

აგრეთვე მოსაგებია ამის ყიდვა იმ მხრით რომ ეს ქაღალდები მყიდველს აძლევდენ წლიურად 5 პროც. მიღება შეიძლება წელიწადში ორ ვადაში: თებერვალში 1925 წ. და თებერვალში 1926 წ. შემდეგ მოგებიანობა ამ სესხის გამოიხატება კიდევ იმაში, რომ მყიდველს შეუძლია დიდი ფულის მოგება. პირველ ნოემბრიდან 1924 წ. 2 ნახ. წ. მოხდება რვაჯერ გათამაშება. სულ ამ ხნის განმავლობაში იქნება გათამაშებული 117,280 ბილეთი, ორი მილიონინი ოქროს მანეთის ღირებულების: 100,000 მომგებიან 5 მან., 50,000—ათი მანეთი, 20,000 25 მან., 6000—50 მ., 1200—ასი მანეთი და 80—1000 მან.

სესხის ობლიგაცია (მომგებიანი ბილეთი) გამოიშვება ერთი მანეთიანი ერთი მომგებიანი ნომრით, 3 მან.—3 ნომრით, 5 მან.—5 ნომრით. ყოველ ნომერს ყოველ ბილეთისას შეუძლია მოიგოს ცალკე ნომერი, რომელიც გებულობს, არ კარგავს თავის ძალას და შეუძლია მომავალ გათამაშების დროს კიდევ მოიგოს. მოგების გარანტია დიდია: ერთ მომგებიან ბილეთს მოსდის 282 ნომერი.

ერთი უპირატესობა კიდევ აქვს ამ სესხს პურის სესხთან. ეს ობლიგაციები მიიღებიან არა მარტო გადასახადში, არამედ იმის საშუალებით შეუძლია გლეხობას სესხის აღება სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან და საზოგადოებიდან 75 პრ. ნომინალურ ქაღალდის ღირებულებიდან.

ამ რიგად, ამ სესხის პირობები უფრო სასარგებლოა მყიდველისათვის, ვინემ პურის სესხის.

9. საგლეხო სესხი იქნება გამოშვებული 50 მილ. ღირებულების ცალკე სერიებით. პირველი გათამაშება მოხდება არა უგვიანეს 1 ნოემბრისა 1924 წ. ყველა სესხის ქაღალდები იქნება მთავრობის მიერ გამოსყიდული მანეთი მანეთად 1927 წ. ობლიგაციები, მათთან გარიგებანი და აგრეთვე მოგებები არ დაიბეგრებიან ეს ქაღალდები თავისუფლად შეიძლება იქნენ გაყიდული და დაგირავებული. ისინი მიიღებიან სახელმწიფო დაწესებულებებისა და წარმოებისაგან ყოველგვარ შეკვეთების დროს ბეთ.

10). აღნიშნული შეღავათიანი კურსი ძალაში იქნება მხოლოდ თანახმად ხელის მოწერის ვადისა, შემდეგ კი ეს კურსი აიწევს. ამიტომ ის გლეხები, რომელსაც სურთ ისარგებლონ შეღავათიანი სესხით, უნდა სასწრაფოთ ჩაეწერონ ობლიგაციებზე, და ამას გარდა უნდა ეცადონ, თვითონვე უშუალოდ შეიძინონ ისინი სათანადო ორგანიზაციისაგან ოფიციალურ ადგილებიში და არა სხვა ვინმე კერძოსაგან. შეძენა შეიძლება მაგალითად: საფინანსო განყოფილებიდან შემნახველ კასებისაგან, ბანკებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან.

11. გლეხ-ხელის მომწერლებს საუკეთესო შემთხვევა ეძლევათ მოგებისათვის, მათი სესხში მონაწილეობით, რათა შეასრულონ თავისი მოვალეობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე, რომელსაც ეხლა ესაჭიროება ფული და ამავე დროს არ სტოვებს თავის ენერგიულ საქმიანობას გლეხთა მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

**ამიერ კავკასიის რ.კ.პ. საგიტაციო-საპროპაგან. განყოფილება.**

## ჩინეთი და საბჭოთა კავშირი.

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი სახელმწიფოს ინტერესები ისე არ უახლოვდებიან საბჭოთა კავშირის ინტერესებს, როგორც ჩინეთის.

ჩინეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს, რომ ის იყოს დამოუკიდებელი უცხოეთის კაპიტალისაგან. და თუ ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირი ჩინეთს დახმარებას გაუწევდა, ის დიდი სიხარულით უნდა შეხვედროდა ამას და შეთანხმებოდა საბჭოთა კავშირს. მაგრამ სულ წინააღმდეგი მოხდა.

საბჭოთა მთავრობის მოლაპარაკება ჩინეთთან, ხელშეკრულების დადების შესახებ, გაჭიანურდა. ჩვენს სურვილს, რომ სრული მშვიდობიანი და ნორმალური ურთიერთობა დამყარებულიყო ჩინეთთან და სავსებით დაგვეცვა მისი დამოუკიდებლობა, რამდენადაც ეს ჩვენზეა დამოკიდებული, ჩინეთის მთავრობამ წინააღმდეგობა გაუწია. ჯერ კიდევ არ გატეხილა ჩინეთის მთავრობის წინააღმდეგობა, მიუხედავათ იმ დიდ აღშფოთებისა და პროტესტებისა, რომელსაც ადგილი ქონდა ჩინეთის ხალხში და პოლიტიკური საზოგადო მოღვაწეებში. საბჭოთა მთავრობა საუკეთესო პირობებს უდგენს ჩინეთს, რომელიც მისთვის მეტად ხელსაყრელია, მაგრამ ჩინეთის მთავრობა მაინც უარზეა.

ვანის გაწვევამ, რომელსაც ქონდა ადგილი წინასწარ შეთანხმების ხელის მოწერის შემდეგ, კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. როგორც გამოირკვა მოლაპარაკების შეწყვეტა გამოიწვია საფრანგეთის ძალდატანებამ ჩინეთის მთავრობაზე.

რუსეთ აზიის ბანკის საკითხი, რომელშიც დიდათ არის დაინტერესებული საფრანგეთი, გახდა საფრანგეთის ჩარევის მიზეზი საბჭოთა ჩინეთის მოლაპარაკებაში. მეტად სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა ჩინეთის მთავრობა. მან დაიცვა იმ ბანკის ინტერესები, რომელიც მრავალ წლების განმავლობაში ყვლეფდა ჩინეთის ხალხს. რუსეთ-აზიის ბანკის ინტერესები საბჭოთა მთელი ჩინეთის ხალხის ინტერესებს.

ამის შემდეგ მდგომარეობაც თითქოს გამოსწორდა. დღეს უკვე აღარ არის მოსალოდნელი საფრანგეთის ჩარევა, რადგან თვით საფრანგეთი მოკლე ხანში იცნობს საბჭოთა კავშირს.

მაგრამ ეხლა სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები აღმოჩნდნენ, რომლებიც დაინტერესებული არიან ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ჩაშლით.

ამ დღეებში მიღებული დეპეშა იტყობინება ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის შესახებ საბჭოთა-ჩინეთის მოლაპარაკებაში, „რათა გააფრთხილოს ჩინეთი, რომ საბჭოთა კავშირთა ცნობა ცუდ შედეგებს გამოიღებს მისთვის". ამერიკის იმპერიალიზმი არა ნაკლებ არის დაინტერესებული ჩინეთით, ვიდრე საფრანგეთი. აქ საქმე შეეხება ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზას, რომლის რეორგანიზაციისათვის 1918 წლის ექსპედიციის დროს ამერიკას დაუხარჯავს 8 მილ. დოლარი. რა გამოდის? ნიკოლოზის რეჟიმის აღდგენისათვის და რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს დახარჯული ფული უნდა აუნაზღაუროს ამერიკას ჩინეთის მშრომელმა ხალხმა. იმ რეჟიმისათვის ბრძოლაში, რომელიც ასე ეჯავრებოდა ჩინეთის ხალხს. ეს ჩინეთის ხალხის ფეხქვეშ გათელვაა.

მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა ის არის, რომ ჩინეთის დღევანდელი მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიაც არიან აღნიშნულ წარმოებების აქციის მეპატრონენი, არის გამხდარი ჩინეთის ხალხის დასამონავებელ საშუალებათ ამერიკა-იაპონიის იმპერიალიზმის ხელში. ჩინეთის მინისტრებსა და ამერიკა-საფრანგეთის იმპერიალიზმს ამ შემთხვევაში ბევრი რამ აქვთ საერთო. კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნებში ხშირია ასეთი მოვლენები. იქაურ სახელმწიფო მოღვაწენი რომელიმე იმპერიალისტურ სახელმწიფოს დამქაშნი არიან. ესევეა ჩინეთშიც.

საერთაშორისო მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში შეიცვალა საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ. ის იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც წინეთ შექმას უპირობდენ საბჭოთა მთავრობას, დღეს მას ცნობენ. უკანასკნელად ასე მოუდის საფრანგეთსაც. ის წინათ ათასგვარ ინტრიგებს აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ, დღეს ჩვენს ცნობაზე ლაპარაკობს. ადრე თუ გვიან ასევე მოიქცევა ამერიკაც. ასეთ ნაბიჯის გადადგმას მათ უკარნახებს საკუთარი ინტერესები. ჩინეთი კი ბევრს წააგებს თუ ის კვლავ აყვება სხვის სურვილებს. ჩინეთის ხალხში უკვე უკმაყოფილება გამოიწვია ამერიკის თავხედურმა მოთხოვნამ. ჩინეთის მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა მომხრე არიან საბჭოთა კავშირის ცნობის.

ჩინეთის მთავრობამ, თუ მას აინტერესებს საკუთარი ქვეყნის ბედიღბალი უნდა სთხოვოს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომ ისინი არ ჩაერიონ მის შინაურ საქმეებში. ჩინეთმა თვით უნდა გადაჭრას ეს საკითხი. თვით აწონ დაწონოს გარემოება და მოიქცეს ისე, როგორც მისი ინტერესები მოითხოვს და ცხადია ჩინეთის ინტერესები დიდათ არის დაკავშირებული ჩვენს ინტერესებთან. ჩვენ გვჯერა, რომ მოკლე ხანში ჩინეთი ასე მოიქცევა

**ზეფირ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## კარლ-მარქსის დაბადების 106 წ. თავზე.

მაისის 5-1 ქ. ლ. მსროლელ ლეგიონში შესდგა საერთო კრება წითელ არმიელების და უფპოლიტშემადგენლობის, რომელსაც დაესწრო აგრეთვე ქ.მ.დ. პარტსკოლიდან ამხანაგები. კრება იყო მიძღვნილი კარლ მარქსის დაბადების 106 წლის თავს და წითელი პრესის დღისადმი.

1-ლ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ქკუასელმა, რომელმაც კრებას დაწვრილებით გააცნო ბიოგრაფია მუშათა კლასის უდიდესი ბელადის—კარლ მარქსის. მან აღნიშნა მისი მოღვაწეობა როგორც მეცნიერული სოციალიზმის მამამთავარის, რომელიც საუკეთესო იარაღია პროლეტარიატის ხელში სოციალიზმის დასამყარებლად. შეეხო ყოველ მომენტებს კარლ მარქსის ცხოვრებისას და მოუწოდებს ამხანაგებს, რომ მარქსის იდეები მისი თეორიული მეცნიერული სოციალიზმით რომელიც დღეს პრაქტიკაში უნდა გატარდეს ლენინიზმის სახით, დაიცვან უკანასკნელი სისხლის წვეთამდე. მოხსენების შემდეგ მამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია. მუშაკთა პრესის ისტორიაზე და მის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ძაგანია, რომელიც ეხება თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა პრესა, როგორც საქართველოში ისე ყველა საკავშირო რესპუბლიკებში, როდესაც ბატონობდნენ კაპიტალისტ-მემამულეები, ახასიათებს ის თუ როგორ იარაღს წარმოადგენდა უწინ და წარმოადგენს დღესაც მუშათა პრესა პროლეტარიატისთვის.

აღნიშნა თუ როგორი განვითარების გზა გაიარა პრესამ პროლეტარული დიკტატურის გაბატონებასთან ერთად, ბოლო სიტყვებში უსურვებს, როგორც ძველად, ისე მომავალშიც მის მებრძოლ ამოცანების შესრულებას.

მოხსენების შესახებ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია.

კრება დამთავრდა ღამის 9 საათზე რის შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო. ღამის 11 საათზე, ნასიამოვნები წით. მოლაშქრენი დაიშალნენ თავიანთ ბინებში.

წკრიალა.

## 10 მაისის საღამო 1 ლე გიონში.

ამხ. ვოროვსკის მოკვლის ერთი წლის თავის და ბერლინის პოლიციის თავხედურ თავდასხმის გამო საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე გერმანიაში, გაიმართა საღამო, რომელსაც დაესწრნენ 1 ლ ლეგიონის წითელ არმიელები და უფ-პოლიტ შემადგენლობა.

მოხსენება, გერმანიაში ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობ წინააღმდეგ პოლიციის უხეშ მოქმედებაზე, გააკეთა ამხ. ნუცუბიძემ, რომელმაც განმარტა ისტორია გაჩხრეკა-დატუსაღებისა და აღნიშნა, რომ ეს მოქმედება დაკავშირებულია ერთის მხრივ ლონდონის კონფერენციასთან, რათა დასცეს ინგლისის თვალში საბჭოთა ხელის უფლების ავტორიტეტი და მეორე მხრივ დაუმტკიცოს პუანკარეს, რომ ის (გერმანია) არ არის მეგობარი საბჭოთა ხელისუფლებისა და რომ მას კომუნისტების დევნაში შეუძლია გადააჭარბოს თვით პუანკარესაც კი და მით გერმანიას სურს მოულბოს პუანკარეს მკაცრი გადაწყვეტილებანი გერმანიის მიმართ.

გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება, ჩვენ მრისხანე პროტესტს უცხადებთ გერმანიის მთავრობას. რევოლიუციის ახლო წარსულიდან, ჩვენ გვახსოვს არა ერთი ასეთი გამოსვლა გერმანიის ბურჟუაზიისა, ჩვენ გვახსოვს თუ როგორ გამოასალმა გერმანიის მთავრობამ წუთისოფელს კ. ლიბკნეხტი და რ. ლიუქსემბურგი. ჩვენ სიმბოლოთ გვევლინება გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებსა და განსაკუთრებით ჰამბურგის ქუჩებში დახვრეტილ მუშების აჩრდილი და შურისძიებისაკენ მოგვიწოდებს, და დასასრულ უკანასკნელი გამოლაშქრება გერმანიის ბურჟუაზიისა, უკვე საზღვარს დებს პროლეტარული ხელისუფლების მოთმენასა და სულგრძელობას.

პროლეტარიატი ნებას არ მოგცემსთ თქვენ არბიოთ და შეურაცყოთ იდეა, რომელმაც შეიწირა მილიონები მუშებისა. ასეთი მოქმედებით თქვენ ვერ დაუმტკიცებთ პუანკარეს თქვენს ერთგულებას და ვერ შეაგნებინებთ რურის ოლქის დაცლის საჭიროებას, ამით ვერ შელახავთ საბჭოთა ხელის უფლებას მსოფლიო პროლეტარიატის თვალში... ამით თქვენ არა თუ შელახავთ მის სიდიადეს, პირიქით, შეუგნებლათ აჩქარებთ და ადიდებთ თქვენ მიერ დევნილი გერმანიის მუშათა კლასის თქვენდამი მოუთმენელ სიძულვილს, რომელიც ბოლოს მოუღებს თქვენს სისტემატიურ ავანტიურას მუშათა კლასსა და მის ხელისუფლებაზე.

ძირს გერმანიის ბურჟუაზიის მორიგი ავანტიურა!

გაუმარჯოს გერმანიის მუშათა კლასს და მის კომუნისტურ პარტიას!"

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩხიკვიშვილი, რომელიც დაწვრილებით ეხება ამხ. ვოროვსკის ცხოვრებას, მოღვაწეობას და მის მოკვლის პირობებს. დარბაზი პატივსა სცემს ამხ. ვოროვსკის ხსოვნას ფეხზე აღგომით.

გამოტანილ იქ რეზოლიუცია:

„ამხ. ვოროვსკის მოკვლის ერთი წლის თავზე მოვ სმინეთ რა მოხსენება მის ცხოვრებისა და მოღვაწეობაზე, ჩვენ გულწრფელი რევოლიუციონური სიმპატიით ვიხსენიებთ ამხ. ვოროვსკის პიროვნებას, რომელმაც მთელი თავის რევოლიუციონური ენერგიით და გამბედაობით შეებრძოლა საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ მსოფლიო ფაშიზმის უპირატო შეტევას, რომელთაც მფარველობს და იდეურათ ასულდგმულებს უკვე მათთან გათანასწორებული მსოფლიო მენშევიზმი—ოპორტიუნიზმი.

მუშათა კლასისათვის, როგორც გულწრფელს და თავ-გამოდებულ მებრძოლს, ამხ. ვოროვსკის არ შეუწყვეტნია თავის მოღვაწეობა, მას არ დაუშურავს ენერგია, პირადი კეთილდღეობა, თვით სიცოცხლეც სანამ, სანამ ფაშისტურ ბანაკიდან გამოვარდნილ ტყვიამ არ განგმირა მისი რევოლიუციონური სისხლით მჩქეფარე გული...

პროლეტარიატის რიგებს დაკლებია არა ერთი და ორი ასეთი მებრძოლნი და სწორედ ასეთ თავგამოდებას მოყვა შედეგათ პროლეტარიატის ის მძლავრი ბატონობა, რომელიც დღეს საბჭოთა ქვეყნებშია განმტკიცებული, და რომლის შიშით სასოწარკვეთილებას მიცემული ბურჟუაზია, გონება-დაკარგული მიმართავს იმ პირველ ყოფილ ბარბაროსულ საშუალებას შურის ძიებისა, რომელიც მან ერთი წლის წინეთ განახორციელა ამხ. ვოროვსკის მიმართ.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს და მის ავანგარდს კომუნისტურ პარტიას ყველა ქვეყნებში".

რეზოლიუციები ერთხმათ იქნა მიღებული.

პარტკორი: ძ—ია.

## პარტიული ცხოვრება.

19, მაისს მოხდა მე-7-დე ქ. მ. მ. სკოლის კომუჯრედის კრება. კრებას დაესწრო 110 კაცი პარტ-ამხანაგები. მორიგ თავმჯდომარედ ამხ. ყურაშვილი, მდივნად ტ. ბელია.

დღის წესრიგში იყო შემდეგი:

1) ბიუროს მუშაობის ანგარიში.
2) ახალი ბიუროს არჩევა.
3) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა კურსანტ გოგიამ. მომხსენებელმა დაახასიათა ბიუროს მუშაობის ხასიათი და მიაწერი შედეგები ბიუროს ენერგიული მუშაობას, მუშაობა კრებამ მოიწონა, რომლის შემდეგ იქნა გამოტანილი შესაფერისი რეზოლიუცია.

შემდეგ იქნა არჩეული ახალი ბიურო. ხმის უმრავლესობით არჩეული იქნენ, შემდეგი ამხანაგები.

1) კოტრიკაძე არსენი, 2) ყურიშვილი გ. 3) ჩახუნაშვილი ტ. 4) სურმავა 5) გრიგორია და 7) ქყატურია ახალ არჩეულ ბიუროს შემადგენლობას დაევალა მეტი ენერგიული მუშაობა სურამში, საგარაკოთ ყოფნის დროს, რომელიც გამოიხატება. ადგილობრივ გლეხობასთან კავშირის და დაკავშირებაში

შემდეგ მიმდინარე კითხვებში გაირჩა რამოდენიმე საკითხები, რომლის შემდეგ კრება დაიხურა.

სამხკორი: ა. ჭკადუა.

## დეზერტიროვის მსხვერპლი.

(გაგრძელება)

მალე, მალე, მხოლოდ საჭირო ბრძოლა, ბრძოლა და შეგნება. საბრძოლველად კი საჭირო კარგათ გაწვრთნილი, შეგნებული მებრძოლი და შენ თუ გინდა ბრძოლის ცოდნის იარაღით აღიჭურვო უნდა—წახვიდე ჯარში, იქ ყველაფერს შეისწავლი.

— კარგი, როგორც მეტყვი ისე მოვიქცევი, ოღონდ შენ ჩემი ცოლი გახდი, სიტყვა მომეცი რომ შენ ჩემი იქნები საუკუნოდ და თან მიხას ტუჩები მაგრად გადაერაზა ოლღას ტუჩებს... დიდხანს იყვნენ ვნებით აღტყინებული ასეთ მდგომარეობაში. ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ მყუდროებას მხოლოდ ჭოტი არღვევდა თავისი უშნო ჩხავილით და თითქოს ჩასძახოდა მიხას და ოლღას, რომ მარტო ისინი არ არსებობენ ამ ქვეყნად, რომ სხვებსაც ბევრს განუცდია ასეთი წუთები, მაგრამ ყოველივე ეს დროულია. წარმავალი..

— გამიშვი, ეხლა უსათუოდ უნდა წავიდე, მთვარე ჩავა და ბნელაში გზას ვერ გავიგნებ.

— გაგიშვებ, მაგრამ მე რას მეუბნები? შეეკითხა მუდარით მიხა.

— შენ ჯერ ჯარში წადი, იქიდან რომ დაბრუნდები, მერე მოგცემ პასუხს.

— არა, ოლღა, ეხლავე მომეცი სიტყვა, რომ ჩემს მეტს კაცს შენ არ წაყვები.

ოლღა დიდხანს ყოყმანობდა. ჯერ გათხოვება გულში არ ქონდა, მაგრამ მიხასთან განცდილმა წუთებმა შესცვალა. ჯერ დიდხანს ჩუმად იყო. შემდეგ მიხას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— წადი წითელ ჯარში, შეისწავლე იქ ყველაფერი და გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ დაბრუნდები, შენს მეტ კაცს არავის გავყვები ცოლად და ნიშნათ სიმტკიცისა მაგრათ ჩაეკონა გულში მიხას.

შემოდგომა გათავებული არ იყო, რომ გამოცხადდა 21 წლიანების ჯარში გაწვევა. გაწვევის წინა დღეებში იმართებოდა კრებები, რომელზედაც უმარტავდენ გასაწვევ ახალგაზრდებს ჯარის მნიშვნელობისა და თვითეული მეომრის მიზნისა და მოვალეობის შესახებ; არც ერთს ასეთ კრებას გიგო არ დაკლებია, მიხა კი მუშაობაში იყო გართული, უნდოდა ჭირნახულის შენახვა მოესწრო.

— გიგო კრებიდან რომ დაბრუნდებოდა უყვებოდა ხოლმე ელისაბედს ამბავს:

— ჩვენ რომ ვაბობდით, „ვოენობა" გათავდა, სულ ტყუილი ყოფილა თურმე, ჯერ კიდევ ბევრი მტრები ყოლია მოსაგერებელი ჩვენი ერთობის საქმეს.

— უი, დამიდგეს თვალები, ხომ გითხარი გუშინ მისთანა სიზმარი ვნახე რომ „ვოინობა" იქნება მეთქი შვილო მიხა, შვილო მიხა, მოსთქვამდა მწარედ ელისაბედი.

— რამ გადაგრია, ადამიანო, ცოცხალ ადამიანს ტირი?! შეუტია გიგომ ელისაბედს, ჯერ კი არ არის ომი დაწყებული, ბევრი მტრები გვყავს და ყოველთვის მზად უნდა ვიყოთო ასე გამომიცხადეს; მიხას შენი ტირილი არ გააგონო, თორემ არ ვიცი რას გიზამს, შენ უკეთესია, მაგ საცვლების შეკერვა დააჩქარე, პარასკევს საღამოსთვის ყველაფერი უნდა ჩაულაგო, შაბათ დილით ადრე უნდა გამოცხადდენ კანცელიარიაზე და იქიდან ყველა ერთად წავლენ სტანციაზე.

— ნეტა საით აგზავნიან ჰკითხა გიგოს თვალ-ცრემლიანმა ელისაბედმა.

— რა ვიცი, თავმჯდომარემ სთქვა მე ვფიქრობ უფრო ქალაქში გააგზავნიანო.

— ქუთაისში მაინც გაეგზავნათ, ახლოს იყო, უფრო ხშირათ გაიგებდა კაკი ამბავს, ჩაილაპარაკა საყვედურის კილოთი ელისაბედმა და თან თვალებზე ხელს იფარავდა, რომ გიგოს ცრემლები არ შეემჩნია.

— ქუთაისს, ქალაქი სჯობია, იქ უფრო მეტ გამოცდილებას და სწავლას მიიღებსო უმტკიცებდა გიგო.

იმ კვირაში ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებმა მოუხშირეს ქეიფს; ჩვენმა მიყრუებულმა სოფელმა საზეიმო ხასიათი მიიღო; დღე და ღამ ისმოდა დაუსრულებელი სიმღერა, ვიცინა; მაგრამ ამ ზეიმში მიხა არ მონაწილეობდა: ის უკანასკნელ დღეებში თავისუფალ დროს სულ ოლღასთან ატარებდა.

უკანასკნელი საღამო იყო. ხვალ ადრე უნდა გამგზავრებულიყო. ის ღამე სულ ოლღასთან გაატარა. ოლღამ უკანასკნელათ კიდევ დაარიგა:

— აბა, მიხო, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, ბეჯითად და გულმოდგინეთ მოკიდე ყველაფრის შესწავლას ხელი. ისე უყურე ყველაფერს, როგორც შენ საკუთარ საქმეს; არც მე შემარცხვინო და არც შენი თავი შეირცხვინო. ერთ თვეში უსათუოდ შეისწავლი წერა-კითხვას და წერილი მომწერე- ყველაფერი შენი ამბავი დაწვრილებით ამიწერე. ადრესიც საჩქაროდ მაცნობე.

— კი, ოლღა, კი რასაც მასწავლიან ყველაფერს კარგად ვისწავლი. შენი დარიგება ყველაფერი გულში მაქვს აღბეჭდილი. ეხლა სულაც არ ვწუხვარ „სალდათათ წასვლას, მხოლოდ მენანება შენი დატოვება და თან ისე მაგრად უკოცნიდა ოლღას ლამაზ პირი-სახეს, რომ თითქოს კოცნის მომარაგებას ფიქრობდა.

— ხვალ ჩვენ ერთმანეთის ნახვას ველარ მოვასწრებთ? ძლივს შეეკითხა მიხა.

— ხვალ, არა, ან რა საჭიროა უპასუხა ოლღამ.

— მე მეგონა სტანციამდე ჩამყვებოდი, წაილუღლუღა მიხამ.

— არ არის საჭირო, ხომ იცი სოფელში ბევრი შეუგნებელი ხალხია, დაიწყებენ ჭორიკანობას, რაც არ არის კარგი ჩვენი საქმისათვის. მიხასაც აღარ ამოუღია ხმა და ვნების ცეცხლით აღგზნებული განაგრძობდა ოლღასთან ალერსს.

— ეხლა კმარა, გვიან არის, ხვალ ადრე ასადგომი ხარ, გამოარკვია ლამაზი განცდით მთვრალი მიხა ოლღამ.

— მიხასაც აღარ გაუწევია წინააღმდეგობა, უკანასკნელად ერთხელ კიდევ ჩაეკონენ ერთმანეთს, ოლღამ კიდევ გაუმეორა მტკიცე ფიცი და დაშორდნენ.

შაბათს, მიხას სხვა ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზრდობასთან ერთად ტფილისისკენ მიაქროლებდა მატარებელი.

ქეიფისაგან მოქანცულ ახალგაზრდებს ვაგონში მიეძინა. მხოლოდ მიხა ფხიზლობდა და იგონებდა წინ ღამით განცდილ წუთებს.

მეორე დღეს დილით უკვე ტფილისში ამოყო თავი სამხედრო მატარებელმა. აქ უკვე მოხდა მათი დანაწილება; მიხა და ხუთი მისი ამხანაგი ერთ ნაწილში გააგზავნეს.

გრ. სლავისონიშვილი.

# ბრძოლა არა ნორმალურ მოვლენებთან წითელ ჯარში.

წითელი ჯარის შემადგენლობის დანიშნულებას შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ყველა მონაპოვართა დაცვა და განმტკიცება. ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი ეს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც თან და თანობით გადადის საზოგადოების სოციალისტურად მოწყობის ნიადაგზე და შემდეგ კი ხდება კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლა, სადაც ყველა მშრომელი ერთნაირ უფლებით სარგებლობს. სწორეთ ეს იყო მიზანი ჩვენი ბელადის ილიჩის, რომელსაც წითელი არმიის დაარსების დეკრეტს აწერდა ხელს. წითელი არმიის შემადგენლობას დიდი ისტორიული მისია აქვს შესასრულებელი და ამიტომ, როგორც კომუნისტური პარტია, აგრეთვე ყველა სახალხო საბჭოები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მის გამაგრება გაძლიერებას. ამისათვის არზოგავენ არავითარ საშვალებებს, რომ ხელი შეუწყონ მის სასურველ ნიადაგზე დაყენებას. ამიტომ არის რომ წითელი ჯარის საკითხი ყოველთვის პირველ კითხვათ დგას პარტიის და სახელმწიფოს წინაშე და ყოველთვის ანგარიში ეწევა მის საჭირო მოთხოვნილებებს. მთავრობის განკარგულებაში არსებული რესურსები პირველად ყოვლისა ჯარის და საზოგადო სწავლა განათლების საჭიროებას ფარავს და შემდეგ კი შეძლების დაგვარათ სხვა ორგანოებს. ეს ჭეშმარიტება კარგათ უნდა შეისწავლონ და შეითვისონ წითელი ჯარის ყველა შემადგენლობამ, დაწყებული წითელ მოლაშქრიდან გათავებული უფროს, პარტიულ და პოლიტ-შემადგენლობამდე, და თავის ენერგია არ დაიშურონ წითელი ჯარის გაჯანსაღების საკითხში.

როგორც ვიცით ჩვენი ჯარის შედგენას დიდი ხნის ისტორია არ აქვს და ესეც უნდა ვიცოდეთ კარგათ რომ, ასეთი სტრუქტურა, როგორც ჩვენს ჯარშია ჯერ ისტორიას არ ახსოვს და გასაკვირიც არ არის რომ ასეთი ახალი რამის შექმნის დროს უსათუოდ შეცდომებსაც დაუშვებთ. ეს გვეპატიება, მხოლოდ როდესაც შეცდომას შევნიშნავთ და ყურადღებას არ მივაქცევთ ეს კი არა. შეცდომა უსათუოდ მაშინვე უნდა იქნეს გამოსწორებული და შემდეგში არ უნდა განმეორდეს.

დიდი დაკვირვებაა საჭირო რომ შესწავლილი იქმნეს ყველა დეტალები წ. არმიელის ცხოვრებიდგან. მას ბევრი შინაგანი და გარეგანი მხარეები აქვს და თუ ყველა უბრალო, უმნიშვნელო მოვლენას ყურადღება არ მიექცა, ის უსათუოდ შემდეგში გაიზრდება და უფრო ძნელი იქნება მასთან ბრძოლა. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს წ. არმიელის ყოფა-ცხოვრებას, მის მორალურად აღზრდის საქმეს. ამისათვის კი საჭიროა ღრმათ დაფიქრება, საქმისადმი ყურადღება და ამის მიხედვით მუშაობის წარმოება. ყველა პოლიტ-მომუშავე პირველ ყოვლისა უნდა იყოს უბრალო ამხანაგი და გლეხის ზნე ჩვეულების ზედ მიწევნით მცოდნე და ამის მიხედვით უდგებოდეს წ. მოლაშქრის აღზრდას, როგორც ზნეობრივად აგრეთვე პოლიტიკურად და კულტურულად. ჩვენი ჯარის შემადგენლობა, რომელიც გაუშვით უვადო შვებულებაში, მართალია მომზადებული მოქალაქენი დაუბრუნდენ სოფელს, მაგრამ ჩვენი პარტია, მთავრობა ჩვენი საკუთარი მსოფმხედველობა მეტს გვავალებს ისტორიის წინაშე და საჭიროა ჩვენ თვითონ მოვიხადოთ ჩვენი მოვალეობა ხალხის წინაშე. როგორც წინა წერილში ვწერდი ეს არის პარტ-კომისიების დაახლოვება ნაწილებთან და მეორე, სამხედრო ტრიბუნალი, სადაც ასობით და მეტი კიდევ ყოველ თვეში მოდის სხვა და სხვა ნაწილებიდგან ამა თუ იმ დანაშაულის შესახებ საქმეები. ამნაირად ტრიბუნალს მხოლოდ დაახლოებით აქვს წარმოდგენილი ამა თუ იმ ნაწილის ნორმალური და არა ნორმალური მდგომარეობა. ამიტომ საჭიროა ყველა ტრიბუნალის პასუხისმგებელ ამხანაგების ნაწილებზედ მიმაგრება, სადაც ისინი გაეცნობიან წ. ჯარის მდგომარეობას და შემდეგ თავის დასკვნებს წარუდგენს კოლეგიას, რის შემდეგ უფრო ადვილი იქნება ყველა არა ნორმალურ მოვლენებთან ბრძოლა.

მე მოუწოდებ ყველა პოლიტ-მომუშავეებს გაასკეცებით მოჰკიდონ ხელი წითელ არმიელის ზნეობრივ და კულტურულ აღზრდას და ჩვენც დავეხმარებით შეძლების დაგვარად.

ვეცადოთ საერთო ძალებით მოვსპოთ ყველა ჟვარგისი მხარეები რაც კი დარჩენილა კიდევ ჩვენს ჯარში და შევქნათ ისეთი წითელი არმია, რომელიც თავზარ დამცემი იქნება საერთაშორისო ფაშიზმის და კონტრევოლიუციის.

ს. ლ.

# ახალი ამბები.

— **სიძველეთა დაცვა.** სრ. საქ. ცენტრ აღმას. კომიტეტმა მიიღო გეგმა დადგენილებისა ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ.

— **კურსები ციებ-ცხელების შესასწავლათ.** ტროპიკულ ინსტიტუტთან გაიხსნა კურსები ციებ-ცხელების შესასწავლათ. კურსები ორ თვიანია და სწავლა შეუძლიანთ სამაზრო ექიმებს.

— **თავშესაფარი ობოლ ბავშთათვის.** ველისციხის გლეხკომმა გახსნა თავშესაფარი ობოლ ბავშთათვის.

— **სიღნაღ-ზაქათალას მიწის საქმის საკითხების გადასაჭრელად.** სიღნაღის-ზაქათალას მიწის საქმის საკითხების გადასაჭრელად ა. კ. ცაკი გზავნის სპეციალურ კომისიას.

# ბრძოლა ნიღაბისა და აირის.

შხამიან აირების საწინაღმდეგო ნიღაბები მუდამ უფრო მაღლა იდგენ აირებზედ და ძალიან მცირე შემთხვევა ყოფილა წარსულ ომში, როდესაც აირით მოწამვლა მომხდარა აირის საწინააღმდეგო ნიღაბის ნაკლულებისაგან.

ყოველი ფრიად საუკეთესო ნიღაბიც კი უხერხულებას იწვევს ადამიანში და სიფხიზლეს უჩლუნგებს. ამას უნდა მიუმატოთ ის, რომ ნიღაბში ხედვის არე შეზღუდულია. ნიღაბი ჯარზედ ახდენ დაღლის მოქმედებას, რაც აიხსნება უმთავრესად, იმით რომ სუნთქვისადმი წინააღმდეგობა იზრდება. ამ გვარი თვისება ნიღაბებისა შემდეგში შეასუსტეს.

იმპერიალისტურ ომის განმავლობაში შემოღებული იყო საერთო წესათ—სულის შეგუბება ნიღაბის ჩამოცმის დროს. რასაკვირველია, აქედან უეჭველია ის დასკვნა უნდა გამოგვეყვანა, რომ სულის შეგუბებისათვის საჭიროა ჰაერის წინასწარი მძლავრი შესუნთქვა. ეს, უეჭველია, მეტად სახიფათო იქნებოდა, თუ საგანგაშო ნიშნის წინ უკვე აირი შემოსული იყო ჯარის რიგებში, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე ნაღმტყორცნის ან არტილერიის ანაზდეულ საჰაირო იერიშის დროს. ამ გამოცდილების შემდეგ უკვე შეიცვალა ეს წესი შემდეგით: „შეაჩერე სუნთქვა და უსუნთქველად იდექი იქამდისინ, სანამ დაჯეჯითებით და სისწორით არ გაიკეთებ ნიღაბს". ყოველმა წითელმა არმიელმა უნდა შეიგნოს და დარწმუნებული იყოს იმაში, რომ აირის შიში მას არ უნდა ჰქონდეს. ამისათვის იგი იწვრთნება და მას ექნება აირის საწინააღმდეგო მანქანა.

ამ მანქანით შესაძლებელია არამც თუ მოწინააღმდეგის მიერ გამოშვებულ აირის აინუშათ ჩაგდება, არამედ შხამიან აირით გაჟღენთილ ატმოსფერაში მტრის წინააღმდეგ შეტევაც კი. წარსულ ომში მიუხედავათ იმისა, რომ სცდილობდენ მებრძოლთათვის შთაეგონებიათ ნიღაბის ამ გვარი თვისება, ჯარი განიცდიდა შიშს აირისაგან, და საკუთარ აირის ღრუბლის ატმოსფერაში, ახლო მანძილით, ვერ ჰბედავდენ იერიშზედ გადასვლას, სანამ გამოცდილებამ არ დაანახვა მათი შემცდარი შეხედულება.

მოკავშირეთა უფროსთა შემადგენლობა აირის ამ გვარ პირველ მოხმარების შემდეგ, გაეცნენ რა მას, შემდეგში მუდამ მომხრენი იყვენ მისი მოხმარებისა.

გ. ბ—შვილი.

# სასოფლო მეურნეობა.

**საქონლის კვება და საკვები ბალახეულობის თესვა ჩვენში.**

საქონლის რიგიანათ და შესაფერათ კვებას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობაში. რა გინდა კარგი ჯიშის იყოს საქონელი, თუ მას საკმაო და კარგი საკვები არ მივეცით ის ვერც იმუშავებს და რძესაც ცოტას მოგვცემს, ამ მხრივ ჩვენი მესაქონლეობა ძლიერ დაქვეითებულია. არ სწარმოებს კარგი ჯიშის საკვებ ბალახების თესვა. გლეხობის უმრავლესობას უჯიშო საქონელი მოჰყავს, რომელიც ძალიან ცოტა შემოსავალს იძლევა.

ჩვენ მთა გორიან ადგილებზე ძლიერ კარგი ხარისხის თივა მოდის. დათესვით კი ხომ უკეთესი მოვიდოდა. ეხლა ამ სათიბების საქმე ბუნებაზეა დამოკიდებული, თუ კარგი ამინდი დაუდგა ბალახიც რასაკვირველია კარგი იქნება. თუ არა და მაშინ ცოტათიც კმაყოფილები ვართ. სხვა ქვეყნებში, სადაც მესაქონლეობა განვითარებულია, ასე არ იქცევიან. მაგალითათ, შვეიცარიის მთაგორიანი ადგილები შემკულია საუცხოვო სათიბებით, სადაც სთესია საუკეთესო საკვები ბალახეულობა, იქ ერთ დესეტინა მიწაზე გაცილებით უფრო მეტ და უკეთეს თივას ღებულობენ ვიდრე ჩვენში. ამის გამო საქონელიც უკეთესი ჰყავთ და შემოსავალიც მეტი აქვთ. საჭიროა ჩვენც შემოვიღოთ საკვებ ბალახების თესვა. ეს გააუმჯობესებს ჩვენ სათიბებს და საქონელიც მეტ შემოსავალს მოგვცემს.

ეს არის ერთი უმთავრესი ზომათაგანი ჩვენი მეურნეობის გასაუმჯობესებლათ. მაგრამ მარტო თივის მოყვანა არაა საკმარისი. საქონლის საკვები უნდა იყოს მრავალგვარი. ერთნაირი საკვები არაა მარგებელი, რაც უნდა უხვათ ვაძლიოთ ის საქონელს ამიტომ სხვა გვარ საკვების თესვაც აუცილებელია. საჭიროა საკვებ ჭარხალის შვრიას და სხ. მოყვანაც. ყოველგვარი ასე გონივრულათ დახარჯულ შრომას გლეხი ერთი ორათ აინაზღაურებს და საქონლის ჯიშის გაუმჯობესებასაც ადვილათ შესძლებს.

მეურნე.

# მეცნიერება და ცხოვრება

**მოსიარულე სახლები.**

ამერიკა მართლაც რომ საოცრებების ქვეყანაა. თითეული უბრალო საქმე, რაიმე მოვლენა გამოზომილი და ათასჯერ გათვალისწინებულია ამერიკელებში. დიდათ განვითარებული ტეხნიკა ამ გარემოების ყოველ მხრივ ხელშემწყობია. ამას წინათ ჩვენ შემთხვევა გვქონდა ჩვენი მკითხველებისათვის გვეცნობებია, თუ როგორ ერთი დღის ან რამოდენიმე საათის განმავლობაში სრულიად ცარიელი და მოტიტვლებული ადგილები შენდება მთელი სოფლებით. ამ მოვლენას ის გარომოება აადვილებს, რომ იქ წინდაწინვე დამზადებული სახლებია გასასყიდათ, ასე რომ მას დადგმის მეტი აღარაფერი საჭირდება. მაგრამ არა ნაკლები საინტერესოა მოსიარულე სახლები, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში იქნა ამერიკაში შამოღებული. ამ შემთხვევაში მთელ სოფელს შეუძლია ერთი ადგილიდან გადასახლდეს მეორეზე ისე და ერთი ორი დღის განმავლობაში, რომ სახლები არ დაინგრეს, არამედ მთლიანი სახით და და მთელი მისი შინაგანი მოწყობილობით გადატანილი იქნეს დანიშნულ ადგილზე. ეს ხდება არა ორი სამი და თუ გინდ ათი ვერსის მანძილზე. არამედ მთელი 50 ვერსის მანძილზე, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოსიარულე სახლები ყველა ხის მასალისაგან არის აშენებული და არც მაინცა და მაინც ისე დიდი არიან. მე მომყავს აქ ერთი ასეთი გადასახლება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამერიკაში.

25 წლის წინეთ მიჩიგანის შტატის ერთ ერთ კუთხეში, სადაც „ძმათა მიტჩელების" კომპანიამ დაიწყო ხე ტყის მუშაობა გაიმართა ქარხნები და ამავე დროს სულ მცირე დროის განმავლობაში ამ ადგილზე მთელი ქალაქი გაშენდა ყველა საყურადღებო დაწესებულებებით. მაგრამ ხე ტყის არა ეკონომიურად დამუშავებამ მალე ამოსწურა დასამუშავებელი ხეები და მუშაობაც შეჩერდა. ქალაქი თითქმის მოკვდა, იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო. ამ შემთხვევაშიც ამერიკელებმა სულ უბრალოდ გადასჭრეს საკითხი. ჩვეულებრივი ამერიკული გაქანებით და საქმიანობით გადაწყვეტილ იქნა მთელი ქალაქის გადატანა 50 ვერსის დაცილებით, სადაც კამპანიის საქმიანობა თანდათან იფურჩქნებოდა. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანათ დამზადებული იქნა ერთ გვარი პლატფორმები ფოლადის სადგარებიდან, რომელის შუა ნაწილში მოთავსებული იყო ბორბლები, მკვრივი შირით (რეზინით). ასეთ სადგურებზე შეგორებული იქნა სახლები და ტრაქტორების საშვალებით გადატანილი ახალ ადგილზე. ქალაქის ამნაირად გადატანის დროს სახლის არც ერთი ფანჯრის მინა არ დაზიანებულა. სახლებში მოძრაობის დროს მოთავსებული იყო ყოველგვარი მოწყობილება და ჩვეულებრივი ცხოვრება მიმდინარეობდა შიგ. მთელი 50 ვერსი განვლილი იქნა 4 საათის განმავლობაში. ამნაირად ქალაქის გადასვლა მთელი თავისი ქარხნებით, საავათმყოფოებით და სხვა, დამთავრდება ამ ზაფხულზე.

შეიხ.

## „ევკოგრუზი"-ს კომუჯრედის სხდომის რეზოლიუცია ამხ. ილ. ებრალიძის შესახებ.

„ევკოგრუზი"-ს კომუჯრედის 16 მაისის სხდომა გაეცნო რა „რაბოჩაია პრავდა"-ში № 107 „რ" ფსევდონიმით მოთავსებულ წერილს ამხ. **ილ. ებრალიძის** შესახებ, კომუჯრედი აღნიშნავს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტი ვითომც ამხ. ებრალიძე სისტემატიურად თვრებოდეს და ამით ის ჩირქსა სცხებდეს ჩვენს პარტიას, ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია. არამც თუ სისტემატიურათ თვრება, არამედ კომუჯრედს არც ერთხელ არ შეუმჩნევია, რომ ამხ. ებრალიძე მთვრალი ყოფილიყო; პირიქით, კომუჯრედი აღნიშნავს, რომ ის ამ მხრივ პირველი მაგალითის მაჩვენებელია ზოგიერთ ამხანაგებისათვის. რაც შეეხება წერილის მეორე ნაწილის შესახებ ცოლთან უსიამოვნებას, ამის შესახებ მოეთხოვოს ქართულ დივიზიის პარტკომისიას დაჩქარებით გამოარკვიოს ეს საქმე.

კომუჯრედის პასუხისმგ.
მდივანი **ვ. ბახტაძე.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ილ. ჩანტლაძე.